ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №28

19 ოქტომბერი, 2023 წელი ქ. თბილისი, ჯავახიშვილის ქ. №7

16:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე და გიორგი შარაშიძე.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების“ 2023 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა
მომხსენებელი: ნინო სანადირაძე
თანამდებობა: ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების“ გენერალური დირექტორი

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ, გასვლით სხდომაზე, ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი, რომელიც ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების საქმიანობის ანგარიშს შეეხებოდა.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების“ გენერალურ დირექტორს, ნინო სანადირაძეს.

თბილისის მუზეუმების გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარეს, დეპუტატებსა და კომისიის წევრებს საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ღონისძიებების, საერთაშორისო თანამშრომლობის, საგანმანათლებლო პროგრამების, მიმდინარე პროექტების, საფონდო, კოლექციების და მიმდინარე რეაბილიტაცია - სარესტავრაციო სამუშაოების ანგარიში გააცნო.

სხდომაზე მოისმინეს საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სამუშაოები და საერთაშორისო პარტნიორობის შედეგები, რომელთა შორისაა თბილისის მუზეუმების გაერთიანების ევროპის მუზეუმების აკადემიის სპეციალური პრიზი, ევროპის მუზეუმების ფორუმის პრიზი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალური მუზეუმისთვის და სხვა სამუშაოები.

საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის გასვლით სხდომაზე, კომისიის თავმჯდომარემ კახაბერ ლაბუჩიძემ, დეპუტატებმა და კომისიის წევრებმა დაათვალიერეს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალური მუზეუმის მემორიალური და საგამოფენო დარბაზები, დეტალურად გაეცნენ სამეცნიერო-სარესტავრაციო ლაბორატორიისა და საგანმანათლებლო სამსახურის საქმიანობას.

ნინო სანადირაძემ ყურადღება გაამახვილა დედაქალაქის მუზეუმებში განხორციელებულ ცვლილებებსა და რეფორმებზე, მათ შორის, დასრულებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, აგრეთვე, ისაუბრა მუზეუმების განახლებულ ვებგვერდზე და მუზეუმების მიერ მიღწეულ საერთაშორისო წარმატებებზე.

ნინო სანადირაძის განცხადებით, ბოლო ათი წელია მსოფლიომ გადასინჯა მიდგომა მუზეუმების საქმიანობასთან დაკავშირებით. კერძოდ, მუზეუმი არ წარმოადგენს ადგილს, რომელიც მხოლოდ ინახავს და აგროვებს ექსპონატებს, მუზეუმის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა, რომ მოახდინოს მისი პოპულარიზაცია. 2016 წელს სტატისტიკური მონაცემები არ არსებობდა, თუ რამდენი დამთვალიერებელი დადიოდა მუზეუმში, მაგრამ 2017 წლიდან არსებობს სააღრიცხვო სისტემა და არსებული მონაცემებით თბილისის მუზეუმებს ჰყავს 20 000 ადგილობრივი დამთვალიერებელი.

ნინო სანადირაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერიასა და საკრებულოს თანამშრომლობისთვის, რის შედეგადაც თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმი საკრებულოს ისტორიულ შენობაში განთავსდება.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
კახაბერ ლაბუჩიძემ და ზურაბ ჩიკვილაძემ.

კახაბერ ლაბუჩიძემ მადლობა ნინო სანადირაძეს გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ ილია ჭავჭავაძის მუზეუმმა ევროპის მუზეუმების ფორუმზე (European Museums Forum) „სპეციალური აღნიშვნის პრიზი" მოიპოვა, რაც კიდევ უფრო დასაფასებელს ხდის მათ მიერ გაწეულ შრომას.

ზურაბ ჩიკვილაძემ მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" გენერალურ დირექტორს, ნინო სანადირაძეს დაუღალავი შრომისა და გაწეული საქმიანობისთვის. მისი თქმით, ნინო სანადირაძემ შეძლო მომავალი თაობისთვის შემოენახა დიდი საგანძური და ისტორია.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად ცნობად მიიღო ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების საქმიანობის წარმოდგენილი ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე